საქართველოს
დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო

DEPOSIT INSURANCE AGENCY
OF GEORGIA

2020 წლის პირველი კვარტლის ანგარიში

აპრილი, 2020 წელი

სარჩევი

მიმოხილვა 3
კომერციული ბანკების ანგარიშგება და რეგულარული სადაზღვევო შენატანები 3
პორტფელის მართვა 7
მართვის საინფორმაციო სისტემა 8
სისტემაში იურიდიული პირების ჩართვის მოსამზადებელი სამუშაოები 8
სააგენტოს წლიური ანგარიში 9
საინფორმაციო კამპანია 9

მიმოხილვა

2020 წლის პირველ კვარტალში სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ძირითადი საქმიანობა მართვის საინფორმაციო სისტემის დეველოპმენტისა და ტესტირების კუთხით წარიმართა. ასევე, გაგრძელდა მუშაობა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტზე, რომელიც სხვა ტექნიკურ საკითხებთან ერთად, სისტემაში იურიდიული პირების ჩართვასაც გულისხმობს. შემუშავდა, კანონით გათვალისწინებული, სააგენტოს წლიური ანგარიში, დაიწყო იმ დოკუმენტების ცვლილებათა პროექტების განხილვა, რომლებიც ზღვრის გაზრდის და სისტემაში იურიდიული პირების ჩართვის შედეგად საჭიროებს განახლებას. დაიგეგმა ზღვრის გაზრდის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების კამპანია.

მსოფლიოში განვითარებული პროცესების ფონზე, პირველი კვარტლის ბოლოს სააგენტო გადავიდა დისტანციური მუშაობის რეჟიმზე. აღნიშნული გარემოების მიუხედავად, ყველა დაგეგმილი სამუშაო შესაბამის ვადაში დასრულდა და მიმდინარეობს.

გრძელდება კომერციული ბანკებისგან ყოველთვიური ანგარიშგებით წარმოდგენილი მონაცემების სტატისტიკური დამუშავება და ანალიზი, ასევე, საინვესტიციო პოლიტიკით განსაზღვრული შესაბამისი აქტივობები.

კომერციული ბანკების ანგარიშგება და რეგულარული სადაზღვევო შენატანები

სააგენტოში გრძელდება კომერციული ბანკების მიერ წარმოდგენილი ყოველთვიური ანგარიშგების ანალიტიკური დამუშავება.

2020 წლის იანვრის აგრეგირებული მონაცემებით, დეპოზიტების საერთო მოცულობამ 27 212 297 851 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 15 026 790 150 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტების ნაწილი 1 912 500 642 ლარი იყო. ამავე თვის შედეგებით, ბანკების მიერ გადახდილი თანხის სრულმა მოცულობამ 1 519 952 ლარი შეადგინა.

რაც შეეხება 2020 წლის თებერვლის შედეგებს, დეპოზიტების საერთო მოცულობამ 27 307 272 566 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 14 736 219 448 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტები - 1 904 590 925 ლარი იყო. რეგულარული შენატანის მთლიანი მოცულობა 1 536 965 ლარით განისაზღვრა.

2020 წლის მარტის მდგომარეობით დეპოზიტების საერთო მოცულობამ 29 741 582 692 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 16 267 199 278 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტები - 2 011 199 157 ლარი იყო. რეგულარული შენატანის მთლიანი მოცულობა 1 566 546 ლარით განისაზღვრა.

2020 წლის იანვრიდან დეპოზიტების მთლიანი მოცულობა (ფიზიკური და იურიდიული პირები) საშუალოდ თვიურად 3.05%-ით იზრდებოდა. მაქსიმალური ზრდა 2020 წლის მარტში დაფიქსირდა, როდესაც დეპოზიტების მთლიანმა მოცულობამ 8.91%-ით მოიმატა. რაც შეეხება ფიზიკური პირების დეპოზიტებს, მათი მოცულობა საშუალოდ 2.72%-ით გაიზარდა. ფიზიკური პირების დეპოზიტების და დაზღვეული დეპოზიტების მაქსიმალური ზრდა 2020 წლის მარტის თვეში დაფიქსირდა და შესაბამისად, 10.39% და 5.60% შეადგინა. #1 ცხრილში მოცემულია დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ მონაცემებთან დაკავშირებით.

ცხრილი 1. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური პირების დეპოზიტები, დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება, %, მლრდ ლარი

	დეკ.19	იან.20	თებ.20	მარ.20	საშ
დეპოზიტების მთლიანი მოცულობა (მლრდ ლარი)	27,24	27,21	27,31	29,74	
თვიური ცვლილება, %		-0,11	0,35	8,91	3,05
ფიზიკური პირების დეპოზიტები	15,07	15,03	14,74	16,27	
თვიური ცვლილება, %		-0,29	-1,93	10,39	2,72
დაზღვეული დეპოზიტები	2,02	1,91	1,90	2,01	
თვიური ცვლილება, %		-5,19	-0,41	5,60	0,00

2020 წლის პირველი და 2019 წლის მეოთხე კვარტლის მონაცემების შედარებიდან იკვეთება, რომ მიმდინარე წლის პირველი კვარტლის ბოლოს, 2019 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით, დეპოზიტების მთლიანი მოცულობა და ფიზიკური პირების დეპოზიტების მოცულობა შესაბამისად, 9.17% და 7.94%-ით არის გაზრდილი, ხოლო დაზღვეული დეპოზიტების მოცულობა - 0.30%-ით შემცირდა (ცხრილი #2).

ცხრილი 2. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური პირების დეპოზიტები, დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება, %,მლრდ ლარი

	დეკ.19	მარ.20
დეპოზიტების მთლიანი მოცულობა (მლრდ ლარი)	27,24	29,74
კვარტალური ცვლილება, %	-	9,17
ფიზიკური პირის დეპოზიტები	15,07	16,27
კვარტალური ცვლილება, %	-	7,94
დაზღვეული დეპოზიტები	2,02	2,01
კვარტალური ცვლილება, %	-	-0,30

რაც შეეხება წლიურ ზრდას, 2020 წლის მარტის მონაცემების მიხედვით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 24%-ით, ფიზიკური პირების დეპოზიტები 30.20%-ით, ხოლო დაზღვეული დეპოზიტები - 21.90%-ით გაიზარდა (ცხრილი #3).

ცხრილი 3. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური პირების დეპოზიტები, დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება, %,მლრდ ლარი

	მარ.19	მარ.20
დეპოზიტების მთლიანი მოცულობა (მლრდ ლარი)	23,98	29,74
კვარტალური ცვლილება, %	-	24,0
ფიზიკური პირის დეპოზიტები	12,50	16,27
კვარტალური ცვლილება, %	-	30,2
დაზღვეული დეპოზიტები	1,65	2,01
კვარტალური ცვლილება, %	-	21,9

ფიზიკური პირების დეპოზიტები განთავსებული ეროვნულ ვალუტაში 2020 წლის 31 მარტის მდგომარეობით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 16,8%-ით არის გაზრდილი, აშშ დოლარში 34,78%-ით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 10,4%-ით), ხოლო ევროში 34.8%-ით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე 11,9%-ით). #4 ცხრილში მოცემულია დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ მონაცემებთან დაკავშირებით.

ცხრილი #4. ფიზიკური პირების დეპოზიტები ლარში, აშშ დოლარში და ევროში, ცვლილება, %, მლრდ ლარი

	მარ.19	მარ.20	მარ.20 *
ფიზიკური პირის დეპოზიტები, ლარი	3,21	3,75	3,75
ცვლილება, %		16,8	16,8
ფიზიკური პირის დეპოზიტები, აშშ დოლარი	8,10	10,92	8,95
ცვლილება, %		34,78	10,4
ფიზიკური პირის დეპოზიტები, ევრო	1,19	1,60	1,33
ცვლილება, %		34,8	11,9

* გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე

2020 წლის იანვარი-მარტის თვეებში რეგულარული სადაზღვევო შენატანების მაქსიმალური ზრდა (1.92%) იანვარში დაფიქსირდა და რეგულარული სადაზღვევო შენატანის მთლიანმა მოცულობამ 1 566 546 ლარი შეადგინა (ცხრილი #5).

ცხრილი 5. რეგულარული სადაზღვევო შენატანი, ცვლილება, %,მლნ ლარი

	დეკ.19	იან.20	თებ.20	მარ.20	საშ
რეგულარული სადაზღვევო შენატანი (მლნ ლარი)	1,60	1,52	1,54	1,57	
თვიური ცვლილება, %		-4,78	1,12	1,92	-0,58

2020 წლის პირველ კვარტალში განხორციელებული სადაზღვევო შენატანების ჯამური ოდენობა წინა წლის მეოთხე კვარტლის შესაბამის მაჩვენებელს 1.16%-ით (ცხრილი #6), ხოლო წინა წლის შესაბამისი კვარტლის მაჩვენებელს 16.66%-ით აღემატება (ცხრილი #7).

ცხრილი 6. რეგულარული სადაზღვევო შენატანი, ცვლილება, %,მლნ ლარი

	დეკ.19	მარ.20
რეგულარული სადაზღვევო შენატანი (მლნ ლარი)	4,57	4,62
კვარტალური ცვლილება, %	-	1,16

ცხრილი 7. რეგულარული სადაზღვევო შენატანი, ცვლილება, %,მლნ ლარი

	მარ.19	მარ.20
რეგულარული სადაზღვევო შენატანი (მლნ ლარი)	3,96	4,62
კვარტალური ცვლილება, %	-	16,66

2020 წლის მარტის მონაცემების მიხედვით, სრულად დაზღვეულია დეპოზიტორი ფიზიკური პირების 95% და ფიზიკური პირების მთლიანი დეპოზიტების 12,36%. დაზღვეული დეპოზიტების 64% დაზღვეულია ეროვნულ ვალუტაში, ხოლო 36% - უცხოურ ვალუტაში.

პორტფელის მართვა

2020 წლის პირველ კვარტალში კომერციული ბანკების მიერ დეპოზიტების დაზღვევის ფონდში შეტანილი თანხების მთლიანმა მოცულობამ სულ 4 623 463 ლარი შეადგინა. დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს საინვესტიციო პოლიტიკისა და 2020 წლის საინვესტიციო გეგმის შესაბამისად, სააგენტომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ფასიან ქაღალდებში ინვესტიცია განახორციელა.

2020 წლის 28 იანვარს ჩატარებულ აუქციონზე 5 წლის ვადიანობის მქონე სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში განხორციელდა 482 596,22 ლარის ინვესტიცია. აღნიშნულ აუქციონზე სააგენტომ 486 000 ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები შეიძინა, რომელთა შემოსავლიანობის განაკვეთი 9,300%-ია.

2020 წლის 4 თებერვალს სააგენტომ 2 წლის ვადიანობის მქონე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებში განახორციელა 3 327 708,26 ლარის ინვესტიცია. აღნიშნული ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის სარგებელი 9,000%-ია. აღნიშნულ აუქციონზე სააგენტომ 3 280 000 ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები შეიძინა.

2020 წლის 2 მარტს სააგენტომ 2 წლის ვადიანობის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები შეიძინა, რომლის ნომინალური ღირებულება 1 550 000 ლარია, შემოსავლიანობის განაკვეთი 8,800%. აღნიშნული ფასიანი ქაღალდების შესაძენად 1 589 013,77 ლარის ინვესტიცია განხორციელდა.

2020 წლის 31 მარტის მდგომარეობით დეპოზიტების დაზღვევის საინვესტიციო პორტფელის მოცულობა 36 705 797 ლარია.

მართვის საინფორმაციო სისტემა

2020 წლის პირველ კვარტალში, ინტენსიურად მიმდინარეობდა მართვის საინფორმაციო სისტემის დახვეწა და შემუშავებული ნაწილების ტესტირება სააგენტოს ბიზნეს-ანალიტიკოსის ჩართულობით. მართვის საინფორმაციო სისტემა წარმოადგენს სპეციალურ ელექტრონულ პროგრამას, რომლითაც მოხდება სისტემის ძირითადი პროცესების და სადაზღვევო შემთხვევის მართვა.

სისტემის საბოლოო ჩაბარების ვადად 2020 წლის აპრილია განსაზღვრული. ხელშეკრულებით, ასევე, გათვალისწინებულია შემსრულებელი კომპანიის მიერ 1 წლიანი მომსახურების გარანტია, რითაც უზრუნველყოფილი იქნება შესაძლო ხარვეზების აღმოფხვრა და ყველა სახის ტექნიკური მხარდაჭერა.

სისტემაში იურიდიული პირების ჩართვის მოსამზადებელი სამუშაოები

სისტემაში იურიდიული პირების ჩართვის მოსამზადებელი სამუშაოების ფარგლებში, სააგენტომ განაახლა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი. ,,დეპოზიტების დაზღვევის შესახებ'' საქართველოს კანონში აისახება ყველა ის შესაბამისი შესწორება, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულებას. საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი განიხილა სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭომ და დაინტერესებულმა მხარეებმა. პანდემიის გარცელების პირობებში, ცვლილებათა პაკეტის დაგეგმილი საპარლამენტო განხილვა გადაიდო, სავარუდოდ, საშემოდგომო სესიამდე.

გარდა საკანონმდებლო ცვლილებებისა, იურიდიული პირების დამატება ასევე, უნდა აისახოს "კომერციული ბანკების მიერ გადასახდელი რეგულარული სადაზღვევო შენატანების ბაზის დაანგარიშების და რეგულარული სადაზღვევო შენატანების გადახდის პროცედურების შესახებ" სააგენტოს ინსტრუქციში. ამ თემაზე უკვე დაწყებულია მუშაობა მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარების მისიის ექსპერტის ჩართულობით.

სისტემაში იურიდიული პირების ჩართვა აისახება მართვის საინფორმაციო სისტემაშიც და პროგრამას დაემატება შესაბამისი ფუნქციონალი. მომზადდება ტექნიკური დავალების დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც, პროგრამულ ცვლილებებს განახორციელებს პროგრამაზე მომუშავე კომპანია.

სააგენტოს წლიური ანგარიში

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო ყოველწლიურად შეიმუშავებს საქმიანობის ამსახველ წლიურ ანგარიშს და უგზავნის საქართველოს მთავრობას, საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს ეროვნულ ბანკს.

კანონის აღნიშნული მოთხოვნის გათვალისწინებით, სააგენტომ 2020 წლის პირველ კვარტალში შეიმუშავა 2019 წლის წლიური ანგარიში. ანგარიშში აისახა გასული წლის სტატისტიკა, დეპოზიტებისა და სადაზღვევო ფონდის ცვლილებების ტენდენციები, საინვესტიციო პოლიტიკა, ასევე, სააგენტოს მიერ ჩატარებული ისეთი მნიშვნელოვანი სამუშაოები, როგორებიცაა, სადაზღვევო ზღვრის ანალიზი და გადაწყვეტილება სადაზღვევო ზღვრის გაზრდის შესახებ, კომერციული ბანკების მიერ სააგენტოსთვის მიწოდებული ანგარიშგების ადგილზე გადამოწმება (საქართველოს ეროვნული ბანკის ჩართულობით), მსოფლიო ბანკის ტექნიკურ მისიის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოები, სააგენტოს საშუალოვადიანი სტრატეგიის შემუშავება, გარე აუდიტის შედეგები და სხვა. ანგარიშში, ასევე, აისახა სააგენტოს ფინანსური მდგომარეობის მიმოხილვა.

საინფორმაციო კამპანია

დეპოზიტების დაზღვევის სისტემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სიახლის - სადაზღვევო ზღვრის გაზრდის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, დაიგეგმა შესაბამისი საინფორმაციო კამპანია. სააგენტოს დაკვეთით 2020 წლის პირველ კვარტალში დაიწყო მუშაობა საინფორმაციო ანიმაციურ ვიდეო-რგოლზე. რგოლი მიმდინარე წლის მეორე კვარტალში დამზადდება და ამავე პერიოდში გავრცელდება სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდისა და „ფეისბუქის“ გვერდის საშუალებით; ასევე, განთავსდება ქვეყნის ყველა ძირითადი ტელევიზიის ეთერში.

ვიდეო-რგოლი საზოგადოებას მიაწვდის ცნობას 2020 წლის 1 ივლისიდან სადაზღვევო ზღვრის 5 000-დან 15 000 ლარამდე გაზრდის შესახებ.

სააგენტოს მიერ ასევე, დამზადდა განახლებული პოსტერის და ბროშურების დიზაინი, რომელიც ფილიალებში გასავრცელებლად მიეწოდებათ კომერციულ ბანკებს.